ნიანგი

13

გამოცემის, 55-ე წელი, (№ 1527). ივლისი 1978, ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— რა მიიღე, ბიძიკო?
— სამიანი!!
— თუ უფასოა, კარგია!

ყურჩამოყრილი კაცის ფიქრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიაფება

ერთი ხნისა, ერთი სიმაღლისა, ერთი გულისანი ვიყავით. გულის ერთ ტალღაზე აცურებულებს ერთმანეთისა, აბა, რა უნდა შეგვშურებოდა.

შურს რა უნდოდა ბავშვობასთან, სიყრმესთან.

მერე მოგაკითხა, მერე გაგღეჭა შურმა. მერე გაგიგო უნდობლობამ ჭილოფისავით, მერე გაგიარა და გამოგიარა ზურგის ტვინზე.

მერე გახდი უნდო, მერე ჩამოჰკაკლე: „ადამიანი უმი რძითაა გაზრდილი, არ უნდა ენდო!“

არც ენდობოდი.

ნდობა სიყვარული თუ არა, სიყვარულის ნასხლეტი მაინც არის. შენ აღარც ეს ნასხლეტი გაგაჩნდა.

უნდობლობამ მერე შიშს გადაჰხვია ხელი, შიშმა — სიძულვილს. ამ სამაიას ცქერით შენ უკვე ტკბობაც შეგეძლო.

გამოიცვალე სკამი. მეგობრებიც, რაღა თქმა უნდა.

გამოიცვალე ბინა, — გაბიბინდი.

ძვირი სანახავი გახდი. მაშინაც ვეღარ გვხედავ, როცა გხვდებით. შენ უკვე სხვა ხარ — გადაფოფრილ-გარდასახული. თამაშობ, როლიდან ვეღარ გამოდიხარ.

სიტყვასაც ფასი დაადე. ჰაიჰარად არაფერი დაგცდება, სიტყვა ლამის აფთიაქის სასწორზე ასწონო.

ის გული, ბიჭო, ერთი ტალღა რომ გადაგვდიოდა ზედ, მწყდება. მწყდება ცოტაა, მიკვდება.

ვფიქრობ და ვერ გამიგია, მაინც რამ გაგაუფასურა, რამ გაგაიაფა.

კაპიკი?

შენი ფასი კაპიკიც აღარაა...

ელდა

ელდასავით, ელვასავით მოვიდა. კი არ მოვიდა, მოაწყდა გულსა და ტვინს.

თვალების მეტი იარაღი არც გაჩნდა და არც უხმარია.

ჩემი იარაღი -- გულგრილობა —ჯერ ამყარა, მერე კი საით-გადამიყარა, თვალი ვერ შევასწარი.

თურმე, სიყვარულსაც აქვს თავისი აგონია, რომელიც მხოლოდ იმიტომ იწყება, რომ აღარ დამთავრდეს.

ამ ელვა-ელდისათვის რაიმე ხომ უნდა შემეგებებინა და მეც შევაგებე: ჯერ ღიმილი, მერე სავარძელი, მერე საწოლი, ბოლოს თვალებიც...

ღიმილი დამიწვა, სავარძლიდან წამომაგდო, ლოგინზე მიმასვენა, თვალები დამახუჭვინა...

ახლა თქვენ, ალბათ, გგონიათ: დღე და ღამ იმას ვნატრობ, სულ იმის ცდაში და ფიქრში ვარ, რომ ამ აგონიას თავი როგორმე დავაღწიო, რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება შორს გადავიქაჯ-გადავიკარგო.

შეიძლება ასეც მეფიქრა, შეიძლება კი არა, ალბათ, ასეც ვიფიქრებდი, ჩემი ფერადი ტელევიზორი—„ელექტრონ—714“ მაღაზიიდან განვადებით რომ არ მქონდეს გამოტანილი...

ზაზა კაციაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— აჰა, ესეც თქვენი „პრობკა!“



ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეგვავი

მოგეხსენებათ, მახის სხვადასხვა სახეობა არსებობს და, ცხადია, მათი ტექნიკური აღჭურვილობაც სხვადასხვანაირია: წვრილი ჩიტებისათვის კაკანათს ძუისაგან ამზადებენ, უფრო მოზრდილი ფრინველებისა და მღრღნელებისათვის მავთულებით ჩახლაფორთებული ხაფანგია მიღებული, ხოლო დიდი მხეცებისათვის, და ზოგჯერ ადამიანებისათვისაც კი, სარეგვავებს დგამენ...

ყოველი მახე სამ ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა დაგებულ იქნეს მსხვერპლთა თავმოყრის ადგილზე, უნდა საიმედოდ მოქმედებდეს მისი მექანიზმი და, რაც მთავარია, უნდა ჰქონდეს კარგი მისატყუებელი...

არ ვიცი, ასეთი საინსტრუქციო ხასიათის მითითებანი ხელთ ჰქონდათ თუ არა ზესტაფონის რაიონის კულტურის მესვეურებს, როცა ასეთ სარეგვავს სდგამდნენ სოფელ ახალ სვირში...

აი, ამ სარეგვავის ტექნიკური მახასიათებელი თვით სვირელი ახალგაზრდების აღწერით: „შენობას ცალი გვერდი გამონგრეული აქვს და წინა ბოძებიც გამოცლილი აქვს. ქარში, წვიმაში და თოვლში იქ შესვლა აკრძალულია“.

როგორც ხედავთ ახალ სვირში დადგმული სარეგვავი მაბისათვის დაწესებულ ორ პირობას სრულიად აკმაყოფილებს: დადგმულია მსხვერპლთა სავარაუდო თავმოყრის ადგილას (სოფელში) და მექანიზმიც საიმედო აქვს (ქარი, წვიმა, თოვლი, ცხვირის დაცემინება და ა. შ.).

ახლა გადავხედოთ მესამე პირობას. ვნახოთ, როგორაა შერჩეული მისატყუებელი.. აქაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამ ამხანაგებს დიდი საზრიანობა გამოუჩენიათ... საყოველთაოდ ცნობილია, ჩიტუნებს საკენკით იტყუებენ, მღრღნელებს — გახუხული ნიგვზით, ხოლო მოზრდილ მხეცებს — ხორცით.

რაკი ახალ სვირში დადგმული მახე გათვალისწინებულია ადამიანთათვის და ამასთან უმეტესად ახალგაზრდებისათვის, მისატყუებელიც შესანიშნავი შეურჩევიათ — წიგნი...

სარეგვავისთვის ბიბლიოთეკა დაურქმევიათ.

სვირელ ახალგაზრდებს შორს დაუჭერიათ, უთქვამთ, წიგნის მოტრფიალენი კი ვართ, მაგრამ ბრმად კი არ გვიყვარსო იგი, რომ მისი გულისთვის სარეგვავში შევრგოთ თავი. უთქვამთ და წერილი უფრენიათ სადაც ჯერ არს, გვიხსენით ასეთი საბედისწერო ცთუნებისგანო. ამ გულისტკივილით სავსე ბარათში სხვათა შორის ესეც ეწერა: „არ არსებობს სოფელში კინოსადემონსტრაციო დარბაზი, რომლის უქონლობის გამო, არ ხდება კინოფილმების ჩვენება 9 წელზე მეტია“ (სტილი დაცულია მ. რ.).

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ ახალ სვირში მცხოვრები ახალგაზრდების წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა და აი პასუხიც, რომელიც სვირელმა თ. აბესაძემ მიიღო რაიონიდან.

„მიმდინარე წლის 18 აპრილს რაიონული საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი პარკსაშრობი შენობის მეორე სვირის სასოფლო საბჭოსათვის გადაცემის შესახებ. თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააკმაყოფილა რაიონული საბჭოს აღმასკომის თხოვნა, აღნიშნულ შენობაში გარემონტების შემდეგ მოთავსებული იქნება ბიბლიოთეკა და მოეწყობა ოთახი კინოფილმების ჩვენებისათვის“.

რაიონის მესვეურებს, ალბათ ეგონათ, რომ ამ პასუხით გაახარებდნენ ახალ სვირელებს, მაგრამ მათდა გულდასაწყვეტად ახალგაზრდებს სრულებითაც არ გახარებიათ, პირიქით:

„უკვე ერთი თვეც და გავიხურავთ სკოლის კარებს, ბევრ ჩვენთაგანს სოფელში დარჩენა სურს, რომ იმუშაონ ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობაში, მაგრამ ეს სურვილი მუდმივი არ არის. ასეთი უყურადღებობა დიდხანს თუ გაგრძელდა, ალბათ ახალგაზრდობა დატოვებს სოფელს“.

რა მოხდა, რატომ არ დაუჯერეს ახალგაზრდებმა ხელმძღვანელებს?.

„აღნიშნული შენობა კარგი გარემონტების შემდეგაც კი არ შეიძლება გამოვიყენოთ“, — აი მათი მყარი აზრი.

ამ აზრს იზიარებენ აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები. ისინი მზად არიან გადასცენ მეორე სვირის სასოფლო საბჭოს წლობით უქმად მდგარი ძველი შენობა, ოღონდ ღიმილს ვეღარ იკავებენ, როცა ამ შენობის შემდგომ გამოყენებაზე შევარდება სიტყვა. არის სხვა სიძნელეც. როგორც აქ აგვიხსნეს, ერთი საუწყებო ორგანიზაციის ბალანსიდან მეორე საუწყებო ორგანიზაციის ბალანსზე შენობის გადაცემა დაუშვებელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე. ალბათ ზესტაფონელი ამხანაგებიც ასეთ პასუხს მიიღებენ.

სწორედ ამაზე იტყვიან „ჩიტი ბდღვნად არ ღირდაო“.

რაკი ისევ ჩიტებზე და მახეებზე შეგვიქანდა სიტყვა, აქვე მინდა ვურჩიო ზესტაფონელ კულტურის მესვეურებს, თუკი ახალსვირელები ერთხანს მაგ სარეგვავის ამარა დარჩებიან (ეს რომ ასე იქნება, ამაში ეჭვი არავის ეპარება), ხომ არ აჯობებს, ბიბლიოთეკას დაემატოს ორი საშტატო ერთეული. ესენი იქნებიან მარეკები, რომლებიც (რაკი მიზიდვა არ ხერხდება) ძალით შეზიდავენ სარეგვავში წიგნისა და საერთოდ კულტურული გართობის მოყვარულებს.

სხვანაირად, ჩემო ძვირფასო ზესტაფონელებო, ფონს ვერ გასცვალთ, რამეთუ სოფელი დაცარიელდება.

მედგარ რაზმითელი.

ნახ. ა. კანდელაკისა

— რა ვქნა, აბა, ზღვაზე საგზურს არ მაძლევენ?!

სასარგებლო რჩევები

● დაე, წლებმა თავისი წაიღონ, მაგრამ ეცადე, შენი არ გაატანო!

● მეზობელი თვალის სინათლეა, მაგრამ დროდადრო გაიხედე მისკენ, ფანჯარასთან კედელი არ ამოგიშენოს!

● უცოდინარობის შემთხვევაშიც კი შეგიძლია დაეხმარო სხვას: არ უჩჩი არაფერი!

● გაუფრთხილი საკუთარ ბებერას, იქნებ ვინმეს ფეხის დასადგმელად გამოადგეს!

● ნუ ეცდები, გადაასტი უფროსს, გაცილებით ადვილია, შემოუარო მას!

გიგლა ბასტაკიძე

ფრაზები

● **უკანასკნელი მოგიკანი** — ადამიანი, რომელმაც თავის ფასში იყიდა სიგარეტი „ეროტეთი“.
● **ავგოპორტრეტი** — ავტომობილის ავარიაში დაჯახების შედეგად შექმნილი სახე.
● **დომინირებული** — დომინოს თამაშით გართული.

* * *

● სჯობს გვიან, მაგრამ პროცენტებით.
● კუზიანს სამარე გაასწორებს, მაგრამ გვიანღა იქნებაო!
● ექიმმა ხელმოტეხილი ავადმყოფი ძღვენისათვის დალოცა: ღმერთმა ხელი მოგიმართოსო!
● ფოტოგრაფმა განაცხადა: სხვა არაფერი შემიძლია, თორემ ოჯახის გადიდება ჩემი ხელთაა.

ავთანდილ ქიმერიძე

ნახ. მ. აბაშიძისა

— სანამ ამწყვეტავს, მანამდე უნდა დავაგა!..

ნახ. ჰ. ლეონაკისა

— ცოლი მეშყავს!
— რა ფირმისაა?

არკიპედანტი

ინსტრუქციის ყდებშია
მუდამ გამოწყვეტული,
ამდაგვარი სიტყვების
არის იგი ჩვეული:

— ამ მუხლში ეს წერია,
იმ მუხლში „ის წერია!
— პრეამბულა ესა აქვს!
ვერ გიგივ? ძნელია?

— დავარღვიეთ? არ გინდა
ჩემი სულის ცხონება?
ჩამაყუდონ ციხეში?
როგორ მოგეწონება?!

და... ის წესებს არ არღვევს,
რაც არაფერს ასწორებს,
ინსტრუქციის გაზუთხვით
ცელას თავს რომ აწონებს —

ინსტრუქციის გარეშე
განა ვისმე უკქერის?
თვალებს აჭყარებია
ინსტრუქციის ფურცელი,

და: აქ ასე წერია,
და: იქ ისე წერია,
ვიზეპირებ ამ მუხლებს
ეს რამდენი წელია!

თუმცა: „იგი არ შექმნა
ქრისტემ, ანდა ალაჰმა,
და არ დაბადებულა
ინსტრუქციის თანაბმად!“

იტყვის ყველა, ვისაც კი
უნარი აქვს მიხვედრის:
იგი ზუსტად მოკვდება
ინსტრუქციის მიხედვით!

გიორგი შეთეკაური

ფიქარეგის გედი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ამ კაცს ცოლიც ჰყავდა და შვილიც. ამასთან დიდი მეურნეობის მფლობელიც იყო; შემაღლებულ ფერდობზე ორსართულიანი სახლი წამოეჭიმა, ეზოში მოკრიახე-მოფუსფუსე ცხოველ-ფრინველს ხომ კაცი ვერ დითვლიდა, მაგრამ ხარი-წიქარა მაინც გამორჩეულად უყვარდა ოჯახის პატრონს და ცივ ნიავს არ აკარებდა მას.

მზოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდათ ცოლქმარს: მათი შვილი ერთი უხეირო, ზარმაცი გამოდგა. ჯერ იყო და სკოლა დიდი გაჭირვებით დაამთავრა, მაგრამ მუშაობაზე გულაყრილი ალმადადმა ხტიბალსა და ჯამაცაზე იყო გადასული, თანაც თვალი სულ ქალაქისკენ გაურბოდა; გაიჩრდილ პირში იმპორტულ სიგარეტს და დაგრიალებდა ბამბისის „ყიგულს“. მაგ სერვილებს ხომ ბოლო არ უჩანდა.

გრძნობდა კაცი, რომ ყოველივე ეს კეთილად არ დამთავრდებოდა

არც შემდგარა.

— ეგ შენი წიქარა დაკალი, მმაკაცები უნდა ვაშარაფო! — მოსთხოვა ერთ დღეს ბიჭმა.

კაცს გული ჩასწყდა. იცოდა, უარი რომ ეთქვა, ბიჭი გადაირეოდა, არადა წიქარა სასიკვდილოდ არ ეშმეტებოდა. მას ძალიან კარგად ახსოვდა წიქარას მიერ გაწეული ერთგულება, — აი დედინაცვლისგან

რომ გამოახსნევინა თავი,

ამტომ აქვითინებული საყვარელ ცხოველთან მილოცლადა.

წიქარა, მართალია, ხარი იყო, მაგრამ იყო მასში რაღაც ადამიანური; აუჩქროლდა გული პირუტყვს და ვანგგამ სასწაული ინება: ხარი ალაპარაკდა.

— ჩემო პატრონო, ეხედავ, რა დღეშიც ხარ, შემომაკვლ ზურგზედ და სითაც გინდა გაგაჭრილებ; შენი ბიჭი კი არა, ვერაკვითარი სულიერი ვერ დაგვეწეა! — შესთავაზა თავისი სამსახური ხარმა.

კაცს ჭკუაში ჩაუჯდა წიქარას ნათქვამი და ასეც მოიქცა.

ბიჭმა, რომ გაიგო მათი გაპარვის ამბავი, პირიდან სული ცეცხლები ჰყარა. შემდეგ, სასწრაფოდ წიქარას ეკალი ალო და ეუფისფერი „ყიგულით“ გამოეცადა მათ. მართალია, წიქარა დიდ დაბარებებს იძლეოდა „ვერავითარი სულიერი ვერ დაგვეწეაო“, მაგრამ მოგებსე ნ ე ბ ა თ, ტექნიკური პროგრესის ამბავი და მერვე მთის გადავლის შემდეგ გაქცეულმა ჰორიზონტზე მუზსოდენა მდევარი შეამჩნიეს,

— ეს ნამდვილად ჩემი ბიჭი იქნება! — აღელდა ოჯახის უფროსი.

— გადაუგდე ათწლედის ატესტატი, იქნება შეგეშვას! — უფრტხვილოდ წაიდუდუნა წიქარამ.

კაცი ზუსტად ასე მოიქცა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ გამოუღია; ბიჭს ეს სასაცილოდაც არ ეკო.

— ინსტიტუტის დიპლომი ესროლე! — ოუჩია ხარმა კაცს.

არც ამან გამოიღო შედეგი.

— „ყიგეულ“ ისევ მოჩანს! — თავზარი დაეცა მამაკ.

— გადაუგდე „ვოლგას“ გასაღები! — იაზრა წიქარამ.

ამან მდევარი ბზოლოდ ხუთოლდ წუთით შეაჩერა.

— ქალაქის კოოპერატიული ბინის ორდერიც ესროლე, ამას მაინც დაბარბდება! — ამოიკვნესა ხარმა.

ამჯერად წიქარა აღ შემცდარა, ხერხმა გაკვნა; ბიჭი ჩამოსცილდა გაქცეულებს და ქალაქისაკენ გადაუხვია საბაირამდე.

წიქარამ და მისმა პატრონმა, გაბარებულებმა იმით, რომ მდევარი ჩამოიცილეს, ტრასაზე დიდი სიჩქარით გაიჯირითეს და, როგორც ეს ხშირად ხდება, მოძრაობის წესები დარღვიეს. ეს იყო ტრაგიკული შეცდომა; ინსპექციის მუშაკებმა ამ კაცს უნებართვო ტარებისათვის წიქარა ჩამოართვეს და საყაბოს გადასცეს.

დამუხტრებული კაცი სოფელში „ლაზ“-ით დაბრუნდა.

რას იზამ, ასეთია წიქარების ბედი!!!

ვალხაზ ცოტაძე



ნახ. ჯ. ლოლუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ნ. ყელესაშვილისა

— იფიქრეთ!

ესიტაკეთ

ესიტაკეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავასი



უსიტყვოდ

ᲒᲐᲜᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ სევდით შეპყრობილი ჭაბუკი პითეკანტროპი თავჩაქინდრული მიძუნძულებდა და თუმცა სავსე მთვარე ნათელ შუქს ჰფენდა ქვის ხანის რელიეფს, ხან ერთ ლოდს აჯახებდა შუბლს, ხან — მეორეს. ხმაურზე პითეკანტროპი ქალიშვილი გამოცუნცულდა და მოლოდინით სავსე თვალები მიაპყრო ჭაბუკს.

იდუმალი სიჩუმით გარემოცულ გარემოს ყრუ ჭახანის ექო მოეფინა. პითეკანტროპმა მრისხანედ გახედა წვეტიანი ლოდის წინ მდგარ ქალიშვილს, რომელსაც ელვის სისწრაფით ეზრდებოდა კოპი და იმავე წუთს საბედისწერო გრძნობის მოზღვავება იგრძნო.

დიდხანს ცდილობდა ჟესტების საშუალებით გაეზიარებინა გულისწორისთვის გულისნადები, მაგრამ ამაოდ. მაშინ იგი ორ ფეხზე წამოიჭრა (გაადამიანების პროცესის დასაწყისი), ხელი სავსე მთვარისკენ გაიშვირა, შემდეგ თვალებში შეხედა სატრფოს და მღელვარებისგან აღმოხდა: „მ...მ...მ..."

შემდგომში ამ ბგერისაგან წარმოიშვა სიტყვები: „მთვარე", „მიჯნური", „მიყვარხარ" და ყველა თქვენგანისათვის კარგად ნაცნობი სიტყვა — მთვარეული, რომელსაც, როგორც თავად მოგეხსენებათ, ბევრი საერთო აქვს სიტყვა შეყვარებულთან.

ამასობაში კი ნათესავები და ახლობლები გამალებული დაეძებდნენ მშობლების დაკარგულ იმედებს. გულწასულ დედებს უკვე ეჩვენებოდათ, რომ მათი შვილები ტირანი — ტირანოზავრების მსხვერპლნი გახდნენ. თითოეული ჯოგი ძებნას დამოუკიდებლად აწარმოებდა, მაგრამ დაკარგულები ერთდროულად აღმოაჩინეს ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

ისინი იდგნენ დაუცველნი, მაგრამ წელგამართულნი სიყვარულის მაღალი გრძნობით. ახსნა-განმარტებამ მწვავე ხასიათი მიიღო, აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, საგრძნობლად შეთხელებული ჯოგების ცოცხლად გადარჩენილი წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ ახალგაზრდებს ასე უნდოდათ, სისხლისღვრას აზრი არ ჰქონდა. შერიგების აღსანიშნავად გაიმართა ლრეობა, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ შეყვარებულები გაურკვეველი მიმართულებით გაპარულიყვნენ.

სწორედ აქედან იღებს სათავეს საქორწინო ცერემონია, რომლის ლოგიკური ფინალი, როგორც თავად კარგად მოგეხსენებათ, საქორწინო მოგზაურობაა.

გამოქვაბულში შეხიზნული ახალშეუღლებულები იმდენად მოქანცულები იყვნენ, რომ დაწოლისთანავე ჩაეძინათ. დილით მამაკაცი ხმაურმა გააღვიძა. „რ... რ... რ..." ამ ბგერასთან ერთად გამოქვაბულის გათოშილ კედლებს სიცივისგან მოკუნტული ქალის კბილების კაწკაწი მოსდებოდა. კაცმა მის თვალებში ამოიკითხა კითხვები: „რისთვის?" (მომიყვანე), „რატომ?" (არ გამათბობ). მამაკაცმა შუბლზე იტაცა ხელი. სწორედ მაშინ დაიბადა მარადიული კითხვები: „როგორ?", „რანაირად?". კაცი წამოხტა და მცირე ხნის შემდეგ გამოქვაბულში დაბრუნებულმა სათუთად დააფარა სატრფოს ხის ხმელი ტოტები.

დილით ყვავილებით სავსე მდელოზე ცოლმა ყვავილი მოწყვიტა და ქმარს აყნოსვინა. აღტკინებული მეუღლე ყვავილზე მოფუსფუსე ფუტკარს გამოუდგა. ფუტკარმა სკამდე მიიყვანა. პეშვით აიღო თაფლი და გულისწორს მიურბენინა. ქალმა გასინჯა, მოეწონა და თაფლით გასვრილი ტუჩებით ემბორა მიჯნურს. ფუტკრის კბენისგან სახეგასიებულმა ქმარმა ნეტარებით მოილოკა ტუჩები და წარმოთქვა: „თ... თ... თ..."

მშვენიერი წყვილი არაერთხელ იმეორებდა ამ ბგერას, რომლისგან შემდგომში ჩამოყალიბდა თაფლობის თვის ცნება, წარმოიშვა სიტყვები: „თაფლი", „თუთა", „თილისმა", უფრო მოგვიანებით კი — „თავგადასავალი".

დიახ, სწორედ თავგადასავალი, რადგან დროთა განმავლობაში გაირკვა მათი ცხოვრებისეული კონცეფციების შეუსაბამობა, არა მარტო მატერიალურ მოთხოვნილებათა, არამედ სულიერ ფასეულობათა სფეროშიც. მაგალითად, ქალს სრულიად არ აინტერესებდა ნახატები გამოქვაბულის კედლებზე, მაგრამ საკუთარი ტუალეტები ყოველგვარი ხელოვნების მწვერვალად მიაჩნდა. ხელოვნების ეს სახეობა კინაღამ საკუთარი ტყავის ფასად დაუჯდა ქმარს, რომელსაც ცოლი ხან პანტერის, ხან ვეფხვისა და ხან ლომის ტყავს სთხოვდა.

თავდაპირველად კი ქმარს უნდა ეთქვა: „კარგი რა!", მაგრამ ცოლმა არ დააცალა. ბგერების აუარებელი ნაკადი მიაყარა საცოდავს. ქმარმა ყურებზე აიფარა ხელი. ამანაც, რომ ვერ უშველა, გაბრაზებულმა და მოთმინებადაკარგულმა ტუჩებზე მიიდო ხელი და წარმოთქვა: „ს... ს... ს..."

ამ ბგერისგან შემდგომში წარმოიშვა უბედურების სიგნალი „SOS". უფრო მოგვიანებით კი სიტყვა „სასამართლო", რომელიც ამ ქვის ხანის დროინდელ ისტორიას დღესაც უსვამს ლოგიკურ წერტილს.

ᲒᲘᲕᲘ ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲜ ᲙᲔ, ᲐᲜ ᲐᲠᲐ

მასთან გჭობა
გაასი,
რაღად გინდა,
დაცდა, რად,
რაც არ უნდა
დაპირდეს,
ხომ ფაქტია,
სჩანს არად;
არ უხდება
სიდინჯე,
საქმიანობს
ჩქარ-ჩქარა,
თავტანფეხებ —
წვერებით
ღმერთს უქმნია
ცანცარა,
გულზე არ
იმოქმედოს,
არც ჰოს
ამბობს,
არც არას!

ᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲝᲡᲘᲐ

—ათასობით ჩილელი პატრიოტი იტანჯება პინოჩეტურ „დინას" — ნაციონალურ სადაზვერვო სამმართველოს ჯურღმულებში. ამას წინათ ჩილეში არსებული რეჟიმის ვითომდა ლიბერალიზაციის მიზნით, მას სახელწოდება შეუცვალეს „ინც-"-ით („ინფორმაციის ნაციონალური ცენტრი").

ნახ. გ. ლომიძისა

„ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲥᲔᲠᲥᲘ ᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ, ᲒᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲕᲔᲚᲘᲐ."

ნახ. ჯ. ლოლუასი

— სად ყრი, ქალო, მაგ ტარაკანების წამალს?!
— მე ვიცი, სადაც ვყრი!

„ტყე შეუნახე შვილებსა...“



ნახ. ლ. ერაძისა

უსიტყვოდ

368
15. VII 78

დაგეჭდილი წერილების ქვალდაქვალ

„ნიანგის“ ამა წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „სტუმრად ტყიბულში“. მასში მხილებული იყვნენ ტყიბულის ავტომაღაზიის, სამეურნეო მაღაზიისა და საყოფაცხოვრებო კომბინატის № 1 საპარიკმახეროს მუშაკები, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს საბჭოთა ვაჭრობისა და მომხმარებელთა მომსახურების წესები.

ამასთან დაკავშირებით ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ცნობილაძე გვატყობინებს: „წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. მაღაზიაში ზოგიერთი სახის ავტონაწილის გადამალვისა და მათზე ფასის დაუდებლობის გამო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ № 71 მაღაზიის გამყიდველ გ. ბოჭორიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, მაღაზიის დირექტორს ი. რაფაელოვსა და სექციონერ დ. სანებლიძეს — საყვედურები.

სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით გამოეცხადა მუშათა მომარაგების განყოფილების № 21 მაღაზიის გამგეს ჰ. ვარშანიძეს, რომელმაც ოთხი დასახელების საქონელზე ვერ უზრუნველყო ფასის დადება.

ტყიბულის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 1 საპარიკმახეროს ბრიგადირი გ. გვენეტაძე საქვითრო მეურნეობის წესების დარღვევისათვის დაქვეითებულია და გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ასევე სასტიკი საყვედური გამოეცხადა მოლარე რ. მამისთვალოვს, ხოლო დამლაგებელი დ. გიორგაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან“.

* * *

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ჭაბურთადან გვწერდნენ, რომ არა აქვთ გზა, წყალსადენი, სატელეფონო ხაზი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, დაწყებითი სკოლის შენობა უვარგისია, მოსახლეობა დაგვიანებით ღებულობს ყურნალ-გაზეთებს. (ეს წერილი დაიბეჭდა „ნიანგის“ ამა წლის მე-7 ნომერში.)

აღნიშნული წერილი რეაგირებისათვის გადაეცა პარტიის გეგეჭკორის რაიონულ კომიტეტს, საიდანაც გვიპასუხეს: ამჟამად ჭაბურთა სოფელ ნახუნაოს ერთ-ერთი უბანია. სახალხო დეპუტატთა ნახუნაოს სასოფლო საბჭოს აღმასკომსა და კოლმეურნეობის გამგეობას დაევალათ ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ სოფლის მოსახლეობის კულტურული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. ივნისში დამთავრდება ჭაბურთის უბანში სასურსათო მაღაზიის მშენებლობა. რაიკოოპკავშირის გამგეობას დაევალა დაჩქაროს პროდუქტების მაღაზიის გახსნა, ამასთან, შეისწავლოს საკითხი აქ საზოგადოებრივი კვების ობიექტის საჭიროების შესახებ. ასევე, დასმულია საკითხი ჭაბურთაში დაწყებითი სკოლის ახალი შენობის მშენებლობის, საპარიკმახეროს, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოს გახსნისა და სოფლის კლუბ-ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

* * *

„ნიანგის“ მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუში რადიოს, ტელეფონის, ელექტროგანათების უქონლობასა და პურით მომარაგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე იყო ლაპარაკი, მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. თენეიშვილმა გვაცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები, სინამდვილეს შეესაბამება. ამჟამად დასახულია ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად — დაიწყო და მალე დამთავრდება შუა დვაბზუში სატელეფონო ავტომატური სადგურისა და ქსელის მონტაჟი, რომელსაც კავშირგაბმულობის სამინისტროს № 4 მოძრავ-მექანიზებული კოლონა აწარმოებს; მიმდინარეობს ელექტროქსელის რეკონსტრუქციაც, ასევე დაწყებულია რადიოქსელის აღდგენითი სამუშაოები; სოფელი შეუფერხებლივ მარაგდება პურით.

* * *

„წერილები პასუხებიანად“ — ასეთი სათაურით „ნიანგის“ მე-6 ნომერში მოთავსებული იყო კრიტიკული მასალა ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბნის უვარგისსა და უმოქმედო კლუბზე.

ბოლნისის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ მ. ალიევმა ამის შესახებ რედაქციას მოსწერა: „ნიანგის“ კრიტიკა სამართლიანია. პარტიის ბოლნისის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი რაჭისუბანში კლუბის მშენებლობის შესახებ.

იუმორი
Юмор
HUMOR
L'HUMOUR
Humour

Louis XIV

Louis XV

Louis XVI







78-368
ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ზურლან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიჟნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 7/VI-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VII-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1664. უე 08583. ტირ. 146.760 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. ადეიშვილი, მ. ანთაძე, ჯ. ლეხაძე, ვ. კეცია, მ. კუხალაშვილი, გ. მეტრეველი, გ. ფირცხალავა, ნ. ქედეხსაშვილი, მ. ცოტაძე.